მშენებლობის ეტაპის დასრულების

ო ქ მ ი

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2023 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერებმა:

დამკვეთი: შპს "სიგმა დეველოპმენტი" (ს/კ 406361315), დირექტორი - **დავით ჯაფარიძე** (პ/ნ 01010004729), იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ

მენარდე/მენარდის წარმომადგენელი: შპს "სიგმა დეველოპმენტი" (ს/კ 406361315), დირექტორი - **დავით ჯაფარიძე** (პ/ნ01010004729), იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ

შევადგინეთ ეს ოქმი მასზედ, რომ სამშენებლო მოედანზე მოვახდინეთ მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოები კერძოდ: მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა)

(მშენებლობის ეტაპის დასახელება)

სამშენებლო სამუშაოების დათვალიერება შემდეგ ობიექტზე:

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, მოსკოვის გამზირი, N9დ (ნაკვეთი003/168) შპს „სიგმა დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.17.12.003.168) მარავლბინიანი საცხოვრებელი სახლი

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი-ისანი, მოსკოვის გამზირი, N9დ (ნაკვეთი003/168) შპს „სიგმა დეველოპმენტი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N 01.17.12.003.168)

მშენებლობის ნებართვის შესახებ ბრძანების თარიღი და ნომერი: 21/11/2023; № 6771004

დამკვეთი: შპს "სიგმა დეველოპმენტი" (ს/კ 406361315), დირექტორი- **დავით ჯაფარიძე** (პ/ნ 01010004729),იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ.

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია: არქიტექტორი - ზურაბ გეწაძე (პ/ნ 01026004472), ტელ. 551619595; ელ.ფოსტა: getsarti@yahoo.com, შპს "გეთს სტუდია" (ს/კ 404642712) არქიტექტორი - გიორგი ნანავა

მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმზე პასუხისმგებელი ექსპერტიზის წარმომადგენელი შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“, ინსპექტირების ორგანო (ს/ნ 205229439), დავით კაკუტაშვილი (ინსპექტორი) ტელ: (032) 2 14 45 00, მის: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.14ა, გ.N4

შპს "თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი" * TIAG AUDITESCORT * 205229439

დათვალიერების შედეგად დავადგინეთ, რომ მშენებლობის პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.
კერძოდ: მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა)

აღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ პირველი ეტაპის სამუშაოები: მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა), დასრულებულია.

ოქმს თან ერთვის მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით.

დამკვეთი:
შპს "სიგმა დეველოპმენტი" (ს/კ 406361315);
დირექტორი- **დავით ჯაფარიძე** (პ/ნ 01010004729);
იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ.

მენარდე/მენარდის წარმომადგენელი:
შპს "სიგმა დეველოპმენტი" (ს/კ 406361315);
დირექტორი- **დავით ჯაფარიძე** (პ/ნ 01010004729);
იურიდიული მისამართი: ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ.

მშენებლობის ექსპერტი (ინსპექტორი)/
ექსპერტიზის წარმომადგენელი: დავით კაკუტაშვილი

შპს "თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი"
TIAG AUDITESCORT
205229439

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 10/01233592292-17
თარიღი: 25.12.2023 14:27
ვადა: 25.01.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს სიგმა დეველოპმენტი საიდენტიფიკაციო კოდი : 406361315
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 9დ
საკონტაქტო ინფორმაცია: 599505754;
განცხადების N: განცხადების თარიღი:
ხელმომწერი: დავით ჯაფარიძე თანამდებობა: დირექტორი

განცხადება/ნომენკლატურა

მუნიციპალური ინსპექცია
შეტყობინება
სანებართვო პირობით განსაზღვრული ქმედებების შესახებ
ეტაპის ოქმის წარმოდგენა

მოთხოვნის ტექსტი

წარმოადგინა პირველი ეტაპის ოქმი. მშენებლობა მიმდინარეობს ს.კ 01.17.12.003.168-ზე ბრძანების N6771004 საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 14
- დანართი: ალბომი
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 10/01233592292-17
25.12.2023 : 14:27
ქ. თბილისი, გ.წერეთლის ქ. N7

ხელშეკრულება
უძრავი ქონებისა ნასყიდობისა და სანაცვლო აშენებული ფართების გადაცემისა და ანაზღაურების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება 2023 წლის 21 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

„გამყიდველი" - შპს „სიგმა დეველოპმენტი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406361315) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯაფარიძის (პირადი ნომერი: 01010004729) სახით და

„მყიდველი" (ან „მშენებელი") - შპს „აკრისი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405499161) წარმოდგენილი მისი დირექტორის ანტონ მჭედლიშვილის (პირადი ნომერი: 65002003918) სახით.

„გამყიდველი" და „მყიდველი" შემდგომ ტექსტში ცალ-ცალკე ასევე მოხსენებული არიან როგორც „მხარე" ან ერთობლივად როგორც „მხარეები"

ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობისა და სანაცვლო აშენებული ფართების გადაცემისა და ანაზღაურების შესახებ;

მხარე(ები) – ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები: „გამყიდველი" და „მყიდველი";

მესამე პირი – ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი გარდა ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისა;

„მიწის ნაკვეთი" ან „ნასყიდობის საგანი" – გამყიდველის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლები მოცემულია ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში.

„პროექტი" ან „დამტკიცებული პროექტი" – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10.10.2023 წლის N6703595 ბრძანებით დამტკიცებული „მიწის ნაკვეთზე" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის არქიტექტორული პროექტი მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ან კორექტირების ჩათვლით

„მშენებლობის ნებართვა" - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.11.2023 წლის N6771004 ბრძანება „ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი, N9დ, შპს „სიგმა დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #01.17.12.003.168) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით)

„საცხოვრებელი სახლი" - „მიწის ნაკვეთზე" „დამტკიცებული პროექტის" შესაბამისად ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

მუხლი 1.
ნასყიდობის საგნის შესახებ

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ნასყიდობის საგანს“ წარმოადგენს „გამყიდველის“ საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონება („მიწის ნაკვეთი“) რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია:
სარეგისტრაციო ზონა – თბილისი (კოდი 01);
სექტორი 17 (ისანი), კვარტალი 12, ნაკვეთი 003/168,
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.17.12.003.168
ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო
მიწის ნაკვეთის ფართი – 4170კვ/მ;
მისამართი – ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N9დ

1.2. „ნასყიდობის საგანი“ წარმოადგენს გამყიდველის საკუთრებას, იგი არ არის დაყადაღებული ან უფლებრივად დატვირთული, არ იმყოფება შეზღუდვის ან აკრძალვის ქვეშ, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 20.11.2023 წელს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის N882023263309, რაც უცვლელია ამ ხელშეკრულების გაფორმების თარიღისათვის.

1.3. „მყიდველმა“ განაცხადა, რომ „ნასყიდობის საგნის“ მდგომარეობა მისთვის ცნობილია. მან მოიწონა ეს მდგომარეობა და თანახმაა, იყიდოს იგი ისეთი სახით, რა სახითაც „ნასყიდობის საგანი“ არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის.

მუხლი 2
გარიგების შესახებ
2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ შეზღუდული საკუთრების უფლებით ყიდულობს „ნასყიდობის საგანს“ და იღებს ვალდებულებას, ნასყიდობის საფასურის ანგარიშში მისცეს „გამყიდველს“ ანაზღაურება 3.1 პუნქტის შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით „ნასყიდობის საგანი“ მყიდველს გადაეცემა შეზღუდული საკუთრების უფლებით, რაც გულისხმობს, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველის სასარგებლოდ დარეგისტრირდება შემდეგი შეზღუდვა: „მყიდველს მხოლოდ გამყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში აქვს უფლება გაასხვისოს, გააქირაოს, იჯარით გასცეს, იპოთეკით ან სხვა სანივთო უფლებით ან/და ნებისმიერი სხვა ვალდებულებით დატვირთოს „ნასყიდობის საგანი“. ამ მუხლში მითითებული შეზღუდვა არ აბრკოლებს მყიდველის უფლებას განახორციელოს „ნასყიდობის საგანზე“ მრავალბინიანი სახლის მშენებლობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება, ნებართვის მიღება, კორექტირება, სახლის მშენებლობის ნებისმიერი სამუშაო, სრულად შეითავსოს დამკვეთის ფუნქციები მშენებლობის პროცესში და განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლება, თუ ასეთის განხორციელება პირდაპირ არ არის შეზღუდული ამ მუხლის პირობებით“.

2.3. მხარეები ადასტურებენ, რომ 2.2 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა (შეზღუდული საკუთრება) ძალაში დარჩება მხარეთა მიერ განშლის აქტის მომზადებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე. განშლის აქტში მითითებული (იდენტიფიცირებული) უნდა იყოს გამყიდველისათვის 3.1.2 პუნქტის შესაბამისად გადასაცემი ფართები. განშლის აქტის რეგისტრაციასთან ერთად, გაუქმდება მყიდველის შეზღუდული საკუთრების უფლება და „გამყიდველის“ სასარგებლოდ დარეგისტრირდება 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფართების გადაცემის ვალდებულება.

მუხლი 3

ნასყიდობის საფასური და მისი გადახდის პირობები

3.1 მხარეთა შეთანხმებით, „ნასყიდობის საგნის“ ღირებულება შეადგენს 1 481 319 (მილიონ ოთხასოთხმოცდაერთიათას სამასცხრამეტ) აშშ დოლარს (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულების გაფორმების თარიღზე არსებული ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისა). „ნასყიდობის საგნის“ მყიდველისათვის გადაცემის სანაცვლოდ, „მყიდველი“ გამყიდველს „ნასყიდობის საფასურის“ ანგარიშში მისცემს ანაზღაურებას შემდეგი სახით:

3.1.1. **ფულადი ანაზღაურების სახით** – მყიდველმა გამყიდველის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის უკვე გადაიხადა ნასყიდობის საფასურის ნაწილი 661 678 (ექვსასსამოცდაერთი ათას ექვსასსამოცდათვრამეტი ლარი) ლარი, რაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღისათვის (2023 წლის 21 დეკემბერი) შეადგენს 246 398 აშშ დოლარს, არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. კერძოდ, მყიდველმა გამყიდველის ნაცვლად (და გამყიდველის სახელით) განახორციელა გადახდები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართი 1-ის (ცხრილის სახით);

3.1.2. „ნასყიდობის საგნის“ მყიდველისათვის გადაცემის სანაცვლოდ გადასახდელი ნასყიდობის საფასურის დარჩენილ ნაწილის - **1 234 921 აშშ დოლარის** (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) ანგარიშში გამყიდველს ბარტერული ოპერაციის სახით საკუთრებაში გადაეცემა „მიწის ნაკვეთზე“ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში 4528,5 კვ/მეტრი ინდივიდუალური (კომერციულ, საოფისე და საცხოვრებელი, საზაფხულო) ფართები და 30 ავტოსადგომის ფართი ამ ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად[1]. გამყიდველისათვის გადასაცემი ფართების ჩამონათვალი მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართი 2-ში, რომელთა გადაცემა მოხდება ეტაპობრივად მხარეთა შორის დამატებით გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე;

3.2. „გამყიდველს“ ამ ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტში მითითებული ფართები ფაქტობრივად ჩაბარდეს 5.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში (პირობებით) და 3.3 პუნქტში მითითებულ კონდიციაში;

3.3. ამ ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ფართები „გამყიდველს“ უნდა ჩაბარდეს ე.წ „თეთრი კარკასის“ სტანდარტით არანაკლებ შემდეგ კონდიციაში:

- მშენებლობა დასრულებული/საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში მიღებული, საცხოვრებელი სახლის ფასადი შეღებილი, სადარბაზო გარემონტებული, ლიფტი დამონტაჟებული/ჩართული, ეზოდან სამშენებლო ნაგავი გატანილი;
- ბინის გარე პერიმეტრზე ალუმინის კარ-ფანჯრები (ორმაგი მინით) მოწყობილი,
- ბინაში შესასვლელი რკინის კარი საკეტით დამონტაჟებული,
- ბინაში შეყვანილი ცენტრალური კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი) დგარები;
- შიდა ტიხრები მოწყობილი და გაჯით შელესილი, იატაკი მოჭიმული ცემენტის ხსნარით;

3.4. „გამყიდველისათვის“ გადასაცემი ფართების საპროექტო განლაგება, ნუმერაცია ადგილმდებარეობა და სხვა სარეგისტრაციო მონაცემები განისაზღვრება „დამტკიცებული პროექტის“ შესაბამისად. ფართების იდენტიფიცირება და ნუმერაცია განხორციელდება მხარეთა შეთანხმებით მომზადებულ „განშლის აქტში“.

[1] მხარეები თანხდებიან, რომ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ აშენებული ფართების მიწოდება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წლის N996-ე ბრძანების 48 - 48[3] მუხლის პირობათა შესაბამისად.

3.5. თუ პროექტის გადაწყვეტების გამო შეუძლებელია „გამყიდველისათვის“ მისი კუთვნილი ფართის ზუსტი ოდენობის გადაცემა, მაშინ „გამყიდველის“ არჩევით დანაკლისის შემთხვევაში „გამყიდველს“ უნდა აუნაზღაურდეს ფართის ღირებულება, ხოლო ნამეტის შემთხვევაში „გამყიდველი“ გადაიხდის ნამეტი ფართის ღირებულებას.

3.6. მხარეთა შეთანხმებით, გამყიდველისათვის 3.1.2 მუხლების შესაბამისად, ნასყიდობის საგნის შეძენის აწგარიშში სანაცვლოდ (ბარტერული ოპერაციის სახით) გადასაცემი ფართების ჯამური ღირებულება ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებულია 1 234 921 აშშ დოლარად დღგ-ს ჩათვლით (ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). ამ ხელშეკრულების გაფორმებასთან. აღსრულებასთან ან ფართების გადაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი გადასახადების ან გადასახდელის გადახდა შესაბამისად ეკისრება „მყიდველს“;

3.7. მხარეები ადასტურებენ, რომ ახლადაშენებულ „საცხოვრებელ კომპლექსში“ ყველა სხვა ინდივიდუალურ ფართზე საკუთრების უფლება (გარდა 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფართებისა), სრულად და ერთპიროვნულად ექნება მხოლოდ „მყიდველს“ და „გამყიდველს“ აღნიშნულის მიმართ არ ექნება არავითარი პრეტენზია ან მოთხოვნა;

3.8. სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული საერთო სარგებლობის ფართები: კიბის უჯრედი, სადარბაზო, სახურავი, ლიფტი და სხვა ფართები, რომლებიც „პროექტისა“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ საერთო სარგებლობის ფართებს, მხარეთა შორის ინდივიდუალური საკუთრების წესით არ ნაწილდება და მასზე ვრცელდება საერთო საკუთრების უფლება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.9 ამ ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფართების „გამყიდველისათვის“ ჩაბარების თაობაზე შესაძლებელია მხარეთა შორის გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დადასტურებული იქნება „გამყიდველისათვის“ ფართის ჩაბარება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში. თუ „გამყიდველისათვის“ გადასაცემი ფართის მდგომარეობა არ აკმაყოფილებს შეთანხმებულ პირობებს, მაშინ მყიდველი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი საკუთარი ხარჯებით;

მუხლი 4
მხარეთა ქმედებები (ვალდებულებები) ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნით

მხარეები ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნებისათვის იღებენ ვალდებულებას განახორციელონ შემდეგი ქმედებები:
4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში მყიდველი აღირიცხება „ნასყიდობის საგნის“ შეზღუდულ მესაკუთრედ იმ ვალდებულების გათვალისწინებით, რაც მითითებულია ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტში;
4.2 მხარეები ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გონივრულ ვადაში მოამზადებენ „საცხოვრებელი სახლის“ განშლის აქტს, რომელშიც იდენტიფიცირებული იქნება როგორც მყიდველის კუთვნილი, ისე გამყიდველისათვის გადასაცემი კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი, საზაფხულო და ავტოსადგომის ფართები.
4.3. განშლის აქტის რეგისტრაციასთან ერთად გამყიდველს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცემა 1 (ერთი) ერთეული მშენებარე ინდივიდუალური ფართი, ხოლო დანარჩენ ფართებთან მიმართებაში გამყიდველი რეგისტრირებული იქნება როგორც ფართების მომავალი მესაკუთრე. აღნიშნული ფართების გადაცემა გამყიდველის ინდივიდუალურ საკუთრებაში განხორციელდება ეტაპობრივად არაუგვიანეს განშლის რეგისტრაციიდან შემდგომი 24 თვის ვადაში, ყოველ სამი თვის თავზე, არანაკლებ 3 ერთეული

ინდივიდუალური ფართი და ერთი ავტოსადგომი გამყიდველის არჩევით, ხოლო დარჩენილი ფართი ამ პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვისას. დეტალებს მხარეები დამატებით შეათანხმებენ განშლის აქტში.

4.4. თუ განშლის შემდგომ საპროექტო დოკუმენტაციაში შევა ისეთი ცვლილება, რომელიც გაზრდის თავდაპირველი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ფართს, წამეტი ფართი მხარეთა შორის განაწილება შემდეგი პროპორციით: გამყიდველი - 25%, მყიდველი - 75%, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

4.5. დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილება, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე. მხარეებს უფლება არა აქვთ, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე უარი თქვან საპროექტო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილების შეტანაზე.

4.6. გამყიდველს მისთვის გადაცემული მშენებარე სტატუსის მქონე ფართების გაყიდვის უფლება წარმოეშობა გამყიდველისათვის შესაბამისი ინდივიდუალური ფართების გადაცემისა და მშენებარე სტატუსით საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მომენტიდან. თუ გამყიდველს ექნება განშლის აქტით მისთვის მიკუთვნებული ისეთი ფართის რეალიზაციის შეთავაზება, რომელიც მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არ არის გადმოცემული, გამყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ამ ფართის 4.3 პუნქტში მითითებულ ვადაზე ადრე მის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადმოცემა. მყიდველს უფლება არა აქვს, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე უარი თქვას ასეთი ფართის გადაცემაზე. ამასთან, ამ პუნქტის შესაბამისად, ვადაზე ადრე გადაცემული ფართი პროპორციულად იქნება გათვალისწინებული 4.3 პუნქტით დადგენილი ფართის გადაცემის პროცესში.

4.7. „მყიდველს" განშლის შედეგად მიკუთვნებული, მშენებარე სტატუსის მქონე ფართების გაყიდვის უფლება წარმოეშობა პირველი სამი მიწისზედა სართულის ამოყვანის შემდეგ. ამ პირობის დადგომიდან ვიდრე განშლის რეგისტრაციიდან 1 (ერთი) წლის ვადის გასვლამდე პერიოდში „მშენებელს" შეუძლია მისთვის მიკუთვნებული იმ ღირებულების მშენებარე სტატუსის მქონე ფართის გაყიდვა, რომელიც არ აღემატება მის მიერ მშენებლობაზე გაწეულ ფაქტობრივ ფინანსურ დანახარჯს. აღნიშნულ დანახარჯს აღმატებული შემოსავალი განთავსდება ცალკე საბანკო ანგარიშზე, რომელიც შეიძლება გახარჯულ იქნეს მხოლოდ მშენებლობის მიზნებისთვის (სპეციალური ანგარიში). სპეციალური ანგარიშს მხარეები განკარგავენ ერთობლივად. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება, თუ სპეციალურ ანგარიშზე აკუმულირდება დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შესატყვისი თანხა.

4.8. ამ მუხლის 4.7 პუნქტით განსაზღვრული პირობის/ვადის დადგომამდე, „მშენებელს" განშლის დოკუმენტით მიკუთვნებული ფართის გაყიდვა შეუძლია „გამყიდველის" თანხმობით, ამასთან, მიღებული თანხის მშენებლობაში რეინვესტირების პირობით. გამყიდველს უფლება არა აქვს, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე უარი თქვას ასეთი თანხმობის გაცემაზე.

4.9. ამ მუხლის 4.7 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ფართების რეალიზაციის შესახებ არ მოქმედებს, თუკი მყიდველი უზრუნველყოფს, რომ მთლიანად პროექტი დაფინანსდეს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკის მიერ იმ პირობით, რომ ბანკი გააკონტროლებს ფართების რეალიზაციისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების მიზნობრივი ხარჯვის პროცესს. ასეთ შემთხვევაში გამყიდველი თანახმაა, რომ მიწის ნაკვეთი და მასზე მშენებარე ფართები, მათ შორის გამყიდველისათვის განშლის აქტით განაწილებული სამომავლო ფართების ნაწილიც იპოთეკით დაიტვირთოს ბანკის სასარგებლოდ, იმ აუცილებელი დათქმით, რომ მშენებლობის პროცესის მიმდინარეობასთან

ერთად, შესაძლებელი იყოს ფართების იპოთეკისაგან ეტაპობრივად გათავისუფლება და გამყიდველისათვის 4.3 პუნქტით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემა, რაც უნდა უზრუნველყოს მყიდველმა.

მუხლი 5
მშენებლობა, ფინანსები და კონტროლი.

5.1. „მშენებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის დაწყება, დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული ეტაპების მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 48 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად, როდესაც ვადის დარღვევა „მყიდველის“ ბრალით არ არის გამოწვეული.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „საცხოვრებელი სახლის“ მშენებლობის „პროექტზე“ უფლებები სრულად ეკუთვნის გამყიდველს. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, რათა მყიდველმა სრული და შეუზღუდავი სახით განახორციელოს „პროექტით“ გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება და ქმედება, მათ შორის და არა მხოლოდ: „საცხოვრებელი სახლის“ მშენებლობის ნებისმიერ ეტაპზე („გამყიდველებისათვის“ ფართების გადაცემამდე და ფართების გადაცემის შემდეგაც) უფლებამოსილია, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად გაუძღვეს მრავალბინიანი „საცხოვრებელი სახლის“ სამშენებლო/საპროექტო სამუშაოებს, ისარგებლოს „დამკვეთის“ სტატუსით ნებისმიერ ფიზიკურ, იურიდიულ პირთან, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან სასამართლოსთან ურთიერთობაში, ორგანიზება გაუწიოს სამშენებლო პროცესს, უზრუნველყოს მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესის განხორციელება, ჰქონდეს ურთიერთობა შესაბამისი კომუნალურ მომსახურების გამწევ ორგანიზაციებთან, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც აუცილებელი იქნება ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე. პროექტის კორექტირების საჭიროების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია კორექტირების საკითხი შეათანხმოს გამყიდველთან. თუ პროექტის კორექტირების შედეგად ხდება დამატებითი სასარგებლო ფართების მიღება, მაშინ მხარეები დამატებით მოილაპარაკებენ კორექტირებული ფართის განაწილების პირობებზე 4.4 პუნქტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მისცეს შესაბამისი მინდობილობა მყიდველს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებისათვის.

5.3. მშენებლობას აფინანსებს „მშენებელი“ საკუთარი/მოზიდული ფულადი სახსრებით. აღნიშნული ვალდებულებას მოიცავს, როგორც მშენებლობასთან პირდაპირ ისე არაპირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გადასახადებს, მოსაკრებლებს, შესაძლო სამშენებლო სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ ფინანსურ პასუხისმგებლობას და სხვა

5.4. „გამყიდველს“ მშენებლობაში პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური მონაწილეობა არ ევალება.

5.5. „„მშენებელს“ საბანკო დაფინანსების მოზიდვის უფლება წარმოეშობა მას შემდეგ, რაც იგი მიწის ნაკვეთის განაშენიანების მიზნებისათვის განახორციელებს საწყის ინვესტიციას (რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პირობების დადგენის, წინასაპროექტო და საპროექტო სამუშაოების, ნებართვის მისაღებისათვის და მშენებლობის განხორციელების პროცესში ინვესტირებულ თანხებს) არანაკლებ 800,000 (რვაასი ათასი) აშშ დოლარის (ეროვნულ ვალუტაში მისი ეკვივალენტის) ოდენობით. საჭიროების შემთხვევაში, საწყისი

ინვესტიციის განხორციელების თაობაზე „გამყიდველი" გასცემს შესაბამის წერილობით დოკუმენტს.

5.6. მშენებელი" ვალდებულია ამ მუხლის 5.5 პუნქტით გათვალისწინებული თანხა მშენებლობაზე მიმართოს მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.

5.7. „მშენებელი" ვალდებულია საბანკო ანგარიშზე შეინარჩუნოს ხელუხელებელი (გაუხარჯავი) ნაშთი არანაკლებ 100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის (ან მისი ეკვივალენტის) ოდენობით. გადაუდებელი აუცილებელობისას აღნიშნული თანხის გახარჯვა დასაშვებია იმ პირობით, რომ 15 საბანკო დღის ვადაში იგი კვლავ უნდა შეივსოს ამ პუნქტში მითითებულ ოდენობამდე.

5.8. „გამყიდველი" უფლებამოსილია გააკონტროლოს „მშენებლის" ფინანსური საქმიანობა. ამ მიზნით „მშენებელი" უზრუნველყოფს „გამყიდველის" შეუზღუდავ დაშვებას „მშენებლის" საფინანსო-სამეურნეო და საბანკო დოკუმენტაციასთან/ინფორმაციასთან.

5.9. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, „მშენებელი" ვალდებულია, „გამყიდველის" მიაწოდოს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ასევე წერილობითი ინფორმაცია განხორციელებული სამუშაოების, მშენებლობის შეფერხების მიზეზების (არსებობის შემთხვევაში) და ფინანსების შესახებ.

5.10. „მყიდველი" უფლებამოსილია, მრავალბინიანი სახლის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შეასრულოს უშუალოდ ან/და კონტრაქტორი ორგანიზაციების მეშვეობით. სამუშაოთა უშუალო შემსრულებელს შეარჩევს და მასთან ხელშეკრულების პირობებს (მათ შორის, სამუშაოთა შესრულების ფასს) განსაზღვრავს მყიდველი თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, სამშენებლო პროცესის უსაფრთხო წარმართვაზე შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, პროექტთან და სტანდარტებთან შესაბამისობაზე, მაკონტროლებელი ადმინისტრაციული ორგანოებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს.

მუხლი 6.
ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად აღსრულებამდე;
6.2. ამ ხელშეკრულების თითოეული მხარე სრული მოცულობით აგებს პასუხს მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის, რაც გამოწვეულია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არადროული (არაჯეროვანი) აღსრულებით ან/და განცხადებული წარმომადგენლობისა და გარანტიების პირობათა დარღვევით.
6.3. ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
6.4. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს „მშენებლის" ინიციატივით, თუ „მიწის ნაკვეთს" აღმოაჩნდება ისეთი უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულების მიზნის მიღწევას და რომლის თაობაზეც ხელშეკრულების დადებისას „გამყიდველი" შეგნებულად დუმდა.
6.5. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს „გამყიდველის" ინიციატივით, თუ „მშენებელი" დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე არსებით ვალდებულებას. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ამ ხელშეკრულების მე-3 - მე-6 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები მიიჩნევა არსებით

ვალდებულებებად. „გამყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების მოსლის ნაცვლად ან მასთან ერთად გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ჩათვლით.

6.6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებამდე, უფლებამოსილი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს მისცეს გონივრულად საკმარისი ვადა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის აღმოსაფხვრელად. მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთი ვადა არ უნდა იყოს 1 (ერთ) კალენდარულ თვეზე ნაკლები. ამასთან, მშენებელი უფლებამოსილია (თუ რაიმე მიზეზით ვერ აგრძელებს მშენებლობას) აღნიშნულ არანაკლებ 1 თვიან ვადაში გამყიდველს წარუდგინოს სხვა პირი, რომელიც უცვლელად იკისრებს ვალდებულებას (და წარუდგენს გამყიდველს ამის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტებს) შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში, მხარეები გააფორმებენ შესაბამის დოკუმენტს ამ ხელშეკრულებაში მხარის ჩანაცვლების შესახებ.

6.7. მხარეები მოვალენი არიან, მაქსიმალურად ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ერთმანეთს მათი წილი ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრაში.

მუხლი 7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შედეგები

7.1. თუ ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა 6.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შედეგებს განსაზღვრავენ მხარეები.

7.2. თუ ხელშეკრულება შეწყდება 6.4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, „მიწის ნაკვეთი", მასზე არსებული მშენებლობით, სრულად გადაეცემა „გამყიდველს", ხოლო „მშენებელს" სრულად აუნაზღაურდება გაწეული დასაბუთებული ხარჯი იმ ვალდებულების გამოკლებით, რომელიც მშენებლის ქმედებათა გამო შეიძლება გადაყვეს უძრავ ქონებას (მათ შორის რეალიზებული მშენებარე ფართების ღირებულების ჩათვლით).

7.3. თუ ხელშეკრულება შეწყდება 6.5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით და „მშენებელი" ვერ შეთავაზებს „გამყიდველს" ამ უკანასკნელისათვის მისაღებ ახალ კონტრაჰენტს, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩაენაცვლება „მშენებელს" და იკისრებს ვალდებულებათა დარჩენილი ნაწილის შესრულებას, მაშინ „მიწის ნაკვეთი", მიმდინარე მშენებლობასთან ერთად, საკუთრებაში გადაეცემა „გამყიდველს". ამასთან, „მშენებელს" აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული ხარჯის ნახევარი, იმ ვალდებულების გამოკლებით, რომელიც მყიდველის ქმედებათა გამო შეიძლება გადაყვეს უძრავ ქონებას (მათ შორის რეალიზებული მშენებარე ფართების ღირებულების ჩათვლით), ხოლო მეორე ნახევარი ჩაითვლება „გამყიდველისათვის" მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

7.4. ამ მუხლის დებულებათა მიუხედავად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის განსხვავებულ შედეგებზე. ასეთ შემთხვევაში, ამ მუხლის შესაბამისი დებულება აღარ გამოიყენება.

7.5. ამ მუხლით გათვალისწინებული „მყიდველის" პასუხისმგებლობა არ დადგება ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, როდესაც ვალდებულებების შესრულებაზე მხარეთა კონტროლი არ ვრცელდება.

მუხლი 8

ფორს მაჟორი

8.1. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეზღუდულია ან შეუძლებელი გახდა ისეთი გარემოებათა

გამო, რომელზეც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება და ეს გარემოებები უშუალო კავშირშია ხელშეკრულების, ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების მხარეთა მიერ შესრულებასთან, კერძოდ:
ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, პანდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა;
ომი, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ბლოკადა ან სხვა მსგავსი სახის მოვლენა ან/და მათგან გამომდინარე შედეგები;
ასევე საქართველოს ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან/და სასამართლო) აქტები, გადაწყვეტილება ან დადგენილება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იქნა გამოცემული;
ან/და ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელზეც მხარეთა კონტროლი არ ვცელდება და რის გამოც, მხარეს ობიექტურად არ გააჩნია ან შეზღუდული აქვს შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მაშინ ასეთი მხარე ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებისა და ამ მოვლენების აღმოფხვრის შედეგების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადაში განთავისუფლდება ხელშეკრულებით, ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან.
8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას ვალდებული მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორეს ფორს მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ, ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების თავიდან ასაცილებლად და ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების მოშლა მხარის მიერ გაწეული შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების პირობით.

მუხლი 9
დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულების ეგზემპლარები
წინამდებარე ხელშეკრულება მხარეთა შორის ფორმდება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის, დანარჩენი ნაწილდება ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის.
9.2. ცვლილება
9.2.1. ეს ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ შეთანხმებებს.
9.2.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი საჯარო რეესტრში წერილობითი ფორმით ხელმოწერის ან კერძო ან საჯარო სანოტარო აქტის საფუძველზე დამოწმების შემთხვევაში;
9.2.3. ამ ხელშეკრულების ფორმის მიმართ გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნები არ ვრცელდება მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ან მის აღსასრულებლად გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის (აქტის, შეტყობინების, გარიგების) მიმართ, თუკი ასეთი დოკუმენტის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია მოქმედი კანონმდებლობით არ მოითხოვება. ასეთი დოკუმენტები შეიძლება გაფორმდეს მარტივი წერილობითი სახით.
9.3. მარეგულირებელი კანონი და დავის გადაწყვეტა
წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო. ამასთან, თუ ეს დაშვებული იქნება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი პროცედურის დაცვით.

9.4. კანონიერება

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება არაკანონიერად, ამგვარი დებულების ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ქმედითობაზე.

9.5. შეტყობინებები

ხელშეკრულების აღსრულებისათვის ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობითი ფორმით პირადად, დაზღვეული ფოსტით და/ან სანდო კურიერის მეშვეობით, იმ მისამართებზე (მათ შორის პარალელურად იგზავნება ელექტრონულ მისამართზე), რაც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში ან ოფიციალურად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც მხარის ან მისი დირექტორის საკონტაქტო მისამართი.

9.6 სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ამ ხელშეკრულების მხარეებზე და მათ შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება ნებისმიერ მესამე მხარეს უნდა გადაეცეს მხოლოდ შესაბამის ვალდებულებებთან ერთად.

მუხლი 10

მხარეთა ხელმოწერები

ადასტურებენ რა თანხმობას ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ დებულებებზე მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას

„გამყიდველის“ სახელით
დავით ჯაფარიძე (პ/ნ 01010004729) დავით ჯაფარიძე

„მყიდველის“ სახელით
ანტონ მჭედლიშვილი (პ/ნ 65002003918) ანტონ მჭედლიშვილი

ანგარიშსწორება [illegible] სრულად [illegible] ვალდებულებები და [illegible] [illegible] [illegible].

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2801
თარიღი 21 - 12 - 2023 წ.
მ.რაოდენობა 22 ხელმოწერა ...

დანართი 1

#	თარიღი	თანხა (ლარი)	კურსი აშშ დოლარში	თანხა აშშ დოლარში	მიმღები	საფუძველი
1	25.05.2023	25,000	2.6854	9,310	შპს „გეთს სტუდია"	საპროექტო სამუშაოები
2	24.07.2023	12,875	2.6854	4,794	შპს „გეთს სტუდია"	საპროექტო სამუშაოები
3	17.10.2023	116,093	2.6854	43,231	თბილისის არქიტექტურის სამსახური	მოსაკრებელი
4	13.11.2023	507,710	2.6854	189,063	თბილისის მუნიციპალიტეტი	თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიშენობების გაყიდვიდან
		661,678		246,398		

დანართი 2

1	ტექნიკური	1	488.7	76.0	564.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
1	კომერციული	2	214.8	34.0	248.8	შპს "აკრისი"
2	საოფისე	1	77.3	0.0	77.3	შპს "აკრისი"
2	საოფისე	2	36.4	0.0	36.4	შპს "აკრისი"
2	საოფისე	3	35.4	0.0	35.4	შპს "აკრისი"
2	საოფისე	4	30.9	0.0	30.9	შპს "აკრისი"
2	საოფისე	5	30.2	0.0	30.2	შპს "აკრისი"
2	საოფისე	6	35.7	0.0	35.7	შპს "აკრისი"
2	საოფისე	7	33.9	0.0	33.9	შპს "აკრისი"
2	საოფისე	8	33.0	0.0	33.0	შპს "აკრისი"
2	საოფისე	9	34.9	0.0	34.9	შპს "აკრისი"
2	საოფისე	10	28.5	0.0	28.5	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
2	საოფისე	11	35.6	0.0	35.6	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
2	საოფისე	12	36.4	0.0	36.4	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
2	საოფისე	13	155.0	0.0	155.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
2	საოფისე	14	62.4	0,0	62.4	შპს "აკრისი"
2	საოფისე	15	48.0	0.0	48.0	შპს "აკრისი"
2	საოფისე	16	53.0	0.0	53.0	შპს "აკრისი"
2	საოფისე	17	45.3	0.0	45.3	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
3	საოფისე	18	75.3	12.9	88.2	შპს "აკრისი"
3	ბინა	2	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
3	ბინა	3	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
3	ბინა	4	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
3	ბინა	5	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
3	ბინა	6	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
3	ბინა	7	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
3	ბინა	8	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
3	ბინა	9	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
3	ბინა	10	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"

3	ბინა	11	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
3	ბინა	12	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
3	ბინა	13	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
3	ბინა	14	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
3	ბინა	15	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
4	ბინა	16	75.3	12.9	88.2	შპს "აკრისი"
4	ბინა	17	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
4	ბინა	18	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
4	ბინა	19	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
4	ბინა	20	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
4	ბინა	21	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
4	ბინა	22	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
4	ბინა	23	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
4	ბინა	24	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
4	ბინა	25	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
4	ბინა	26	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
4	ბინა	27	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
4	ბინა	28	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
4	ბინა	29	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
4	ბინა	30	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
5	ბინა	31	75.3	12.9	88.2	შპს "აკრისი"
5	ბინა	32	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
5	ბინა	33	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
5	ბინა	34	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
5	ბინა	35	49.5	8.9	58.4	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
5	ბინა	36	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
5	ბინა	37	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
5	ბინა	38	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
5	ბინა	39	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
5	ბინა	40	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
5	ბინა	41	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
5	ბინა	42	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"

5	ბინა	43	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
5	ბინა	44	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
5	ბინა	45	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
6	ბინა	46	75.3	12.9	88.2	შპს "აკრისი"
6	ბინა	47	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
6	ბინა	48	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
6	ბინა	49	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
6	ბინა	50	49.5	8.9	58.4	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
6	ბინა	51	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
6	ბინა	52	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
6	ბინა	53	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
6	ბინა	54	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
6	ბინა	55	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
6	ბინა	56	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
6	ბინა	57	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
6	ბინა	58	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
6	ბინა	59	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
6	ბინა	60	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
7	ბინა	61	75.3	12.9	88.2	შპს "აკრისი"
7	ბინა	62	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
7	ბინა	63	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
7	ბინა	64	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
7	ბინა	65	49.5	8.9	58.4	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
7	ბინა	66	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
7	ბინა	67	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
7	ბინა	68	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
7	ბინა	69	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
7	ბინა	70	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
7	ბინა	71	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
7	ბინა	72	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
7	ბინა	73	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
7	ბინა	74	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"

7	ბინა	75	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
8	ბინა	76	75.3	12.9	88.2	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
8	ბინა	77	59.2	9.4	68.6	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
8	ბინა	78	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
8	ბინა	79	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
8	ბინა	80	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
8	ბინა	81	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
8	ბინა	82	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
8	ბინა	83	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
8	ბინა	84	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
8	ბინა	85	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
8	ბინა	86	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
8	ბინა	87	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
8	ბინა	88	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
8	ბინა	89	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
8	ბინა	90	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"
9	ბინა	91	75.3	12.9	88.2	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
9	ბინა	92	59.2	9.4	68.6	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
9	ბინა	93	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
9	ბინა	94	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
9	ბინა	95	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
9	ბინა	96	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
9	ბინა	97	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
9	ბინა	98	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
9	ბინა	99	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
9	ბინა	100	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
9	ბინა	101	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
9	ბინა	102	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
9	ბინა	103	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
9	ბინა	104	46.5	11.1	57.6	შპს "აკრისი"
9	ბინა	105	51.1	12.5	63.6	შპს "აკრისი"

10	ბინა	106	75.3	12.9	88.2	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
10	ბინა	107	59.2	9.4	68.6	შპს "აკრისი"
10	ბინა	108	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	109	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	110	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
10	ბინა	111	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	112	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	113	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	114	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
10	ბინა	115	64.2	23.7	87.9	შპს "აკრისი"
10	ბინა	116	55.4	21.8	77.2	შპს "აკრისი"
10	ბინა	117	47.4	8.1	55.5	შპს "აკრისი"
10	ბინა	118	61.0	11.4	72.4	შპს "აკრისი"
10	ბინა	119	46.5	11.1	57.6	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
10	ბინა	120	51.1	12.5	63.6	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
11	ბინა	121	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
11	ბინა	122	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
11	ბინა	123	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	124	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	125	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
11	ბინა	126	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	127	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	128	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	129	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
11	ბინა	130	64.4	23.7	88.1	შპს "აკრისი"
11	ბინა	131	55.7	21.8	77.5	შპს "აკრისი"
11	ბინა	132	47.6	8.1	55.7	შპს "აკრისი"
11	ბინა	133	61.3	11.4	72.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
11	ბინა	134	46.6	11.1	57.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
11	ბინა	135	51.2	12.5	63.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
12	ბინა	136	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
12	ბინა	137	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"

12	ბინა	138	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	139	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	140	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
12	ბინა	141	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	142	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	143	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	144	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
12	ბინა	145	64.4	23.7	88.1	შპს "აკრისი"
12	ბინა	146	55.7	21.8	77.5	შპს "აკრისი"
12	ბინა	147	47.6	8.1	55.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
12	ბინა	148	61.3	11.4	72.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
12	ბინა	149	46.6	11.1	57.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
12	ბინა	150	51.2	12.5	63.7	შპს "აკრისი"

13	ბინა	151	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
13	ბინა	152	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
13	ბინა	153	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	154	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	155	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
13	ბინა	156	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	157	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	158	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	159	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
13	ბინა	160	64.4	23.7	88.1	შპს "აკრისი"
13	ბინა	161	55.7	21.8	77.5	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
13	ბინა	162	47.6	8.1	55.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
13	ბინა	163	61.3	11.4	72.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
13	ბინა	164	46.6	11.1	57.7	შპს "აკრისი"
13	ბინა	165	51.2	12.5	63.7	შპს "აკრისი"

14	ბინა	166	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
14	ბინა	167	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
14	ბინა	168	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
14	ბინა	169	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"

14	ბინა	170	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
14	ბინა	171	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
14	ბინა	172	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
14	ბინა	173	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
14	ბინა	174	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
14	ბინა	175	64.4	23.7	88.1	შპს "აკრისი"
14	ბინა	176	55.7	21.8	77.5	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
14	ბინა	177	47.6	8.1	55.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
14	ბინა	178	61.3	11.4	72.7	შპს "აკრისი"
14	ბინა	179	46.6	11.1	57.7	შპს "აკრისი"
14	ბინა	180	51.2	12.5	63.7	შპს "აკრისი"
15	ბინა	181	75.5	12.9	88.4	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
15	ბინა	182	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
15	ბინა	183	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	184	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	185	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
15	ბინა	186	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	187	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	188	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	189	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
15	ბინა	190	64.4	23.7	88.1	შპს "აკრისი"
15	ბინა	191	55.7	21.8	77.5	შპს "აკრისი"
15	ბინა	192	47.6	8.1	55.7	შპს "აკრისი"
15	ბინა	193	61.3	11.4	72.7	შპს "აკრისი"
15	ბინა	194	46.6	11.1	57.7	შპს "აკრისი"
15	ბინა	195	51.2	12.5	63.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	196	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
16	ბინა	197	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
16	ბინა	198	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
16	ბინა	199	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
16	ბინა	200	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
16	ბინა	201	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"

16	ბინა	202	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
16	ბინა	203	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
16	ბინა	204	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
16	ბინა	205	64.4	23.7	88.1	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	206	55.7	21.8	77.5	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	207	47.6	8.1	55.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	208	61.3	11.4	72.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	209	46.6	11.1	57.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
16	ბინა	210	51.2	12.5	63.7	შპს "აკრისი"
17	ბინა	211	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
17	ბინა	212	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
17	ბინა	213	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
17	ბინა	214	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
17	ბინა	215	49.5	8.9	58.4	შპს "აკრისი"
17	ბინა	216	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	217	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	218	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	219	46.9	8.1	55.0	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	220	64.4	23.7	88.1	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	221	55.7	21.8	77.5	შპს "აკრისი"
17	ბინა	222	47.6	8.1	55.7	შპს "აკრისი"
17	ბინა	223	61.3	11.4	72.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
17	ბინა	224	46.6	11.1	57.7	შპს "აკრისი"
17	ბინა	225	51.2	12.5	63.7	შპს "აკრისი"
18	ბინა	226	75.5	12.9	88.4	შპს "აკრისი"
18	ბინა	227	59.4	9.4	68.8	შპს "აკრისი"
18	ბინა	228	46.9	8.1	55.0	შპს "აკრისი"
18	ბინა	229	97.6	73.6	171.2	შპს "აკრისი"
18	ბინა	230	94.8	16.2	54.7	165.7 შპს "სიგმა დეველოპმენტი"
18	ბინა	231	64.4	23.7	88.1	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
18	ბინა	232	55.7	21.8	77.5	შპს "სიგმა დეველოპმენტი"
18	ბინა	233	47.6	8.1	55.7	შპს "სიგმა დეველოპმენტი"

სართული	-1	პარკინგი	N1	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N2	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N3	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N4	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N5	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N6	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N7	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N8	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N9	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N10	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N11	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N12	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N13	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N14	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N15	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N16	შპს აკრისი
სართული	-1	პარკინგი	N17	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N18	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N19	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N20	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N21	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N22	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N23	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N24	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N25	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N26	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N27	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N28	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N29	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N30	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N31	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N32	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N33	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N34	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N35	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N36	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N37	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N38	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N39	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N40	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N41	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N42	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-1	პარკინგი	N43	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	-2	პარკინგი	N44	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N45	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N46	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N47	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N48	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N49	შპს აკრისი

სართული	-2	პარკინგი	N50	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N51	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N52	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N53	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N54	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N55	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N56	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N57	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N58	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N59	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N60	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N61	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N62	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N63	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N64	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N65	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N66	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N67	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N68	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N69	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N70	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N71	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N72	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N73	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N74	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N75	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N76	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N77	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N78	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N79	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N80	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N81	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N82	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N83	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N84	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N85	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N86	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N87	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N88	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N89	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N90	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N91	შპს აკრისი
სართული	-2	პარკინგი	N92	შპს აკრისი
სართული	გარე	პარკინგი	A93	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	გარე	პარკინგი	A94	შპს სიგმა დეველოპმენტი
სართული	გარე	პარკინგი	A95	შპს სიგმა დეველოპმენტი

...ინისტრო
...საგენტო
... 202 წ.